

# რეპო ოპერაციები

საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისი 2011

ბოლო განახლება: იანვარი 2019

# რეპოს მნიშვნელობა

- რეპო ოპერაციები მნიშვნელოვნად ხელს უწყობს:
  - ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდობის ზრდას
  - ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების დიდი რყევების შემცირებას

# სამართლებრივი ბაზა

2010 წლის 11 ნოემბრის „რეპო გარიგებების ჩარჩო ხელშეკრულება“

2017 წლის 4 ივლისის „რეპო გარიგებების ჩარჩო მოდალური ხელშეკრულება“

- „რეპო გარიგებების ჩარჩო მოდალური ხელშეკრულება“ 2017 წლის 04 ივლისიდან არის კომერციულ ბანკებს შორის რეპო გარიგებების მთავარი სამართლებრივი დოკუმენტი:
  - [https://www.nbg.gov.ge/uploads/fuladi\\_bazari/repo\\_ma\\_20170704.PDF](https://www.nbg.gov.ge/uploads/fuladi_bazari/repo_ma_20170704.PDF)
- კონკრეტული გარიგების დადებისთვის ბანკებს არ სჭირდებათ ერთმანეთში სხვა დამატებითი იურიდიული დოკუმენტის გაფორმება;

# რეპოს განმარტება

- რეპო არის ფასიანი ქაღალდების გაყიდვა შემდგომში იმავე ან მსგავსი ფასიანი ქაღალდების წინასწარ შეთანხმებული პირობებით უკან ყიდვის ვალდებულებით;
- კომერციული ბანკებისთვის რეპო გარიგებები, თავისი შინაარსით, არის ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით ფულადი სახსრების გასესხების საშუალება:
  - იმ განსხვავებით, რომ რეპოს შემთხვევაში მყიდველს აქვს მიღებულ ფასიან ქაღალდებზე შეუზღუდავი განკარგვის უფლება;
- რეპო ოპერაციებში ფასიანი ქაღალდების მყიდველი, თავისი შინაარსით, არის ფულადი სახსრების გამსესხებელი, ხოლო გამყიდველი - ფულადი სახსრების მსესხებელი.

# რეპოს სარგებლიანობა

- რეპო ოპერაციებით, როგორც ფულადი სახსრების სესხება/გასესხების ინტრუმენტით, კომერციულ ბანკებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი სარგებელი:
  - თავიდან აიცილონ კონტრაგენტის საკრედიტო რისკი;
  - მოიზიდონ დაბალპროცენტიანი ფულადი რესურსები, ხოლო უკურეპოს შემთხვევაში გასცენ უზრუნველყოფილი სესხი;
  - მოიზიდონ ფულადი რესურსები ლიმიტების გარეშე, ხოლო უკურეპოს შემთხვევაში გასცენ უზრუნველყოფილი სესხები ლიმიტების გარეშე;
  - გარიგების მოქმედების პერიოდში, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე განკარგან მიღებული ფასიანი ქაღალდები.

# ინფრასტრუქტურა

- რეპო ოპერაციების წარმოებისთვის არსებობს შემდეგი ინფრასტრუქტურა:
  - ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმა
    - გარიგების დადების საშუალება 24 საათიან რეჟიმში.
  - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების GSSS სისტემა
    - 9:40 საათიდან 18:40 საათამდე.

# რეპო გარიგების დადება

- რეპო გარიგების დადება შესაძლებელია:
  - ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმის მეშვეობით <RPET> ნებისმიერ დროს;
  - მხარეებისათვის ურთიერთმისაღები ნებისმიერი კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით;
- ბლუმბერგში დადებული გარიგებები შესაძლებელია იყოს იმავე დღის ან მომავლის თარიღით ანგარიშსწორებით;
- ბლუმბერგში დადებული გარიგების მონაცემები ავტომატურად აისახება GSSS სისტემაში შესაბამის თარიღებზე ანგარისწორებისათვის;
- ბლუმბერგის სისტემის გარეთ დადებული გარიგებები GSSS სისტემაში უნდა იყოს შეყვანილი ხელით.

# რეპოს ანგარიშსწორება

- ბანკებს შორის რეპო ოპერაციების ანგარიშსწორება ხორციელდება GSSS სისტემაში ამავე სისტემის წესების მიხედვით;
- რეპოს ანგარიშსწორება არის სრულად ავტომატიზირებული პროცესი;
- ანგარიშსწორების თარიღზე GSSS სისტემა ავტომატურად აგზავნის ტრანზაქციას RTGS სისტემაში;
- ტრანზაქციის შესრულება ნიშნავს:
  - RTGS სისტემაში ფულადი სახსრების ანგარიშსწორების დასრულებას;
  - იმავედროულად, GSSS სისტემაში ფასიანი ქაღალდების მოძრაობის დასრულებას.



# რეპოს დაფარვა

- რეპოს დაფარვა ხორციელდება ავტომატურად GSSS სისტემის მიერ.
- GSSS სისტემაში რეპო დაფარვის ტრანზაქციის ცალმხრივი შეჩერება შეუძლებელია რომელიმე მონაწილის მიერ.
- რეპოს დაფარვის თარიღზე, მონაწილეთა ყოველგვარი ჩარევის გარეშე, ავტომატურად GSSS და RTGS სისტემების მიერ ხორციელდება შემდეგი:
  - GSSS სისტემა ბიზნეს დღის გახსნისთანავე (9:40) დაფარვის ტრანზაქციას აგზავნის RTGS სისტემაში
  - RTGS სისტემა ახორციელებს ანგარიშსწორებას
  - იმავედროულად, GSSS სისტემა ასრულებს ფასიანი ქაღალდების ტრანზაქციას

21.01.2019

ანგარიშსწორების დღეს



1 კვირა

დაფარვის დღეს



28.01.2019

# რეპო ოპერაციები GSSS სისტემაში

- ბლუმბერგის სისტემის გარეთ დადებული გარიგებების შემთხვევაში, რეპოს ანგარიშსწორების დღეს მხარეები GSSS სისტემაში შედიან Instructions Originator >>Enter>> Repo DvP და ავსებენ შესაბამის ველებს.
- GSSS სისტემა ელოდება მონაწილეთა შეტყობინებების თანხვედრას.
- შეტყობინებების თანხვედრისთანავე, GSSS სისტემა ავტომატურად აგზავნის შესაბამის ტრანზაქციას RTGS სისტემაში ანგარიშსწორებისათვის.

# რეპო ოპერაციების შეყვანა GSSS სისტემაში

The screenshot shows the GSSS system interface for entering repo operations. The interface is divided into several sections:

- STAKEHOLDERS**
- SETTLEMENT**
- INSTRUCTIONS ORIGINATOR**
  - List
  - Enter
    - FoP
    - DvP
    - Premature Disinvestment
    - Pin
    - Bring-In
    - Take-Cut
    - Repo FoP
    - Repo DvP** (highlighted)
    - Repo Maturity
    - Repo Substitution
    - Margin Call
    - Pledge FoP
    - Pledge DvP
    - Pledge Release
    - Pledge Maturity
    - Pledge Substitution
    - Pledge Execution
    - Loan
  - Approve
- AUCTIONS**

The main form contains the following fields and options:

- Party Reference:
- In/Out Indicator: **RECEIVER** PROVIDER, BOTH
- Trade Date:
- Delivering Party:
- Intended Settlement Date:
- Repurchase Date:
- Contract Number:
- Cash Leg Processing:
- Autocollat Eligibility: **NO** ON-FLOW ON-STOCK
- Processing Mechanism: **Individual** Linked [Add Financial Instrument](#)
- Financial Instrument Information (pop-up window):
  - ISIN:
  - Delivering Account:
  - Receiving Account:
  - Cash Currency:
  - Cash Amount:
  - Reverse Cash Amount:

At the bottom of the form, there are three buttons: **Reset**, **Validate**, and **OK**.

\* წითელი ვარსკვლავით მონიშნულია აუცილებლად შესავსები ველები!



# რეპო გარიგების პირობები

- რეპო გარიგების დადებისას მხარეები აუცილებლად უნდა შეთანხმდნენ შემდეგ პირობებზე:
  - გარიგებაში მონაწილე ფასიანი ქაღალდები (ISIN)
  - ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება
  - ფასიანი ქაღალდების ფასი
  - ანგარიშსწორების დღე
  - რეპოს დაფარვის დღე
  - რეპოს მოცულობა (Cash Amount)
  - უკურეპოს მოცულობა (Reverse Cash Amount)
- გარიგების დადებისას ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმა ავტომატურად გამოთვლის შემდეგ პარამეტრებს:
  - რეპოს ნომინალურ ღირებულებას
  - საანგარიშსწორებო თანხას რეპოს დაფარვის დღეს

# ფასიანი ქაღალდების ჩანაცვლება

- „რეპო გარიგებების ჩარჩო მოდალური ხელშეკრულების“ შესაბამისად, მხარეებს აქვთ რეპო გარიგებაში მონაწილე ფასიანი ქაღალდების ჩანაცვლების უფლება.
- გამყიდველს შეუძლია, მყიდველთან შეთანხმებით, გარიგებაში მონაწილე ფასიანი ქაღალდები ჩანაცვლოს GSSS სისტემაში რეგისტრირებული სხვა ფასიანი ქაღალდებით.
- ფასიანი ქაღალდების ჩანაცვლების ოპერაციის უნდა განხორციელდეს GSSS სისტემაში.
- აღნიშნული ტრანზაქცია ხორციელდება GSSS სისტემაში გამყიდველისა და მყიდველის მიერ ერთმანეთისათვის შესაბამისი შეტყობინებების გაგზავნის საფუძველზე.

# კუპონის გადახდები

- კუპონის გადახდებს ავტომატურად ახორციელებს GSSS სისტემა
- კუპონი ერიცხება GSSS სისტემაში ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელს
  - რეპოს მოქმედების პერიოდში, GSSS სისტემის მიერ კუპონი ავტომატურად ერიცხება ფასიანი ქაღალდის მყიდველს
- თუ რეპოს დაფარვამდე, ფასიან ქაღალდებზე მოხდა კუპონის გადახდა, „რეპო გარიგების ჩარჩო მოდალური ხელშეკრულების“ შესაბამისად, მყიდველმა კუპონის სახით მიღებულ თანხა კუპონის გადახდის დღესვე უნდა დაუბრუნოს გამყიდველს

# დეფოლტის შემთხვევა

- კომერციულ ბანკებს შორის 2017 წლის 04 ივლისის „რეპო გარიგებების ჩარჩო მოდალური ხელშეკრულებით“ განსაზღვრულია:
  - რეპო გარიგებების მონაწილეთა დეფოლტის (გადაუხდელობის) შემთხვევები
  - გარიგებაში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობები დეფოლტის შემთხვევაში
  - დეფოლტის დადგომისას მხარეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების ალტერნატიული საშუალებები



# რეპოს ბუღალტრული აღრიცხვა

- რეპოს ბუღალტრული აღრიცხვა შეიძლება განხორციელდეს ორი მეთოდით:
  - 1. ყიდვა-გაყიდვის მეთოდი
  - 2. უზრუნველყოფილი სესხის მეთოდი
- კომერციულ ბანკებს შეუძლიათ რეპოს ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოონ ამ ორი მეთოდიდან ერთ-ერთის გამოყენებით
- GSSS სისტემის ანგარიშებზე არსებული ჩანაწერები, ბანკებმა შეიძლება გამოიყენონ რეპო ოპერაციების ყიდვა-გაყიდვის მეთოდით ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების პროცესში

# 1. რეპოს აღრიცხვა ყიდვა-გაყიდვის მეთოდით: დილინგური ქაღალდებისთვის

- თუ ფასიანი ქაღალდები აღრიცხულია როგორც დილინგური ოპერაციებისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები:
  - ფასიანი ქაღალდების გამყიდველი აკეთებს შემდეგ ბუღალტრულ გატარებას:
    - ზარალით გაყიდვისას:
      - დებეტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები, 8602 ზარალი სახელმწიფო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით
      - კრედიტი: 1502 სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები
    - მოგებით გაყიდვისას:
      - დებეტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები
      - კრედიტი: 1502 სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები, 6602 შემოსავლები სახელმწიფო სავალო დისკონტურ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით
  - ფასიანი ქაღალდების მყიდველი აკეთებს შემდეგ ბუღალტრულ გატარებას:
    - დებეტი: 1502 სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები
    - კრედიტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები
- რეპოს დაფარვის დღეს ხდება საპირისპირო გატარებები

# 1. რეპოს აღრიცხვა ყიდვა-გაყიდვის მეთოდით: დისკონტურ, საინვესტიციო ქაღალდებზე

- თუ დისკონტური ფასიანი ქაღალდები აღრიცხულია როგორც საინვესტიციოდ განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები:
  - ფასიანი ქაღალდების გამყიდველი აკეთებს შემდეგ ბუღალტრულ გატარებას:
    - ზარალით გაყიდვისას:
      - დებეტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები, 1402 სახელმწიფო სავალო დისკონტური ფასიანი ქაღალდების კონტრანგარიში - დისკონტი, 8902 ზარალი სახელმწიფო სავალო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით
      - კრედიტი: 1401 სახელმწიფო სავალო დისკონტური ფასიანი ქაღალდები
    - მოგებით გაყიდვისას:
      - დებეტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები, 1402 სახელმწიფო სავალო დისკონტური ფასიანი ქაღალდების კონტრანგარიში - დისკონტი
      - კრედიტი: 1401 სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები, 6902 შემოსავლები სახელმწიფო სავალო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით
  - ფასიანი ქაღალდების მყიდველი აკეთებს შემდეგ ბუღალტრულ გატარებას:
    - დებეტი: 1401 სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები (ნომინალური ღირებულებით)
    - კრედიტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები, 1402 სახელმწიფო სავალო დისკონტური ფასიანი ქაღალდების კონტრანგარიში - დისკონტი
- რეპოს დაფარვის დღეს ხდება საპირისპირო გატარებები

# 1. რეპოს აღრიცხვა ყიდვა-გაყიდვის მეთოდით: კუპონურ, საინვესტიციო ქაღალდებზე

- თუ კუპონური ფასიანი ქაღალდები აღრიცხულია როგორც საინვესტიციოდ განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები:
  - ფასიანი ქაღალდების გამყიდველი აკეთებს შემდეგ ბუღალტრულ გატარებას:
    - მიმდინარე ფასით გაყიდვისას:
      - დებეტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები,
      - კრედიტი: 1403 სახელმწიფო სავალო კუპონი ქაღალდები, 2406 მისაღები პროცენტი სახელმწიფო სავალო ქაღალდების მიხედვით
    - ზარალით გაყიდვისას:
      - დებეტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები, 8902 ზარალი სახელმწიფო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით
      - კრედიტი: 1403 სახელმწიფო სავალო კუპონი ქაღალდები, 2406 მისაღები პროცენტი სახელმწიფო სავალო ქაღალდების მიხედვით
    - მოგებით გაყიდვისას:
      - დებეტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები,
      - კრედიტი: 1403 სახელმწიფო სავალო კუპონი ქაღალდები, 2406 მისაღები პროცენტი სახელმწიფო სავალო ქაღალდების მიხედვით, 6902 შემოსავლები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით

# 1. რეპოს აღრიცხვა ყიდვა-გაყიდვის მეთოდით: კუპონურ, საინვესტიციო ქაღალდებზე

– ფასიანი ქაღალდების მყიდველი აკეთებს შემდეგ  
ბუღალტრულ გატარებას:

- ფასიანი ქაღალდების ყიდვა მიმდინარე ფასით:

- დებეტი: 1403 სახელმწიფო სავალო კუპონი ქაღალდები (ნომინალური ღირებულებით), 2406 მისაღები პროცენტი სახელმწიფო სავალო ქაღალდების მიხედვით
- კრედიტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები

- ფასიანი ქაღალდების ყიდვა დისკონტით:

- დებეტი: 1403 სახელმწიფო სავალო კუპონი ქაღალდები (ნომინალური ღირებულებით), 2406 მისაღები პროცენტი სახელმწიფო სავალო ქაღალდების მიხედვით
- კრედიტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები, 1404 სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდების დისკონტი

- ფასიანი ქაღალდების ყიდვა პრემიით:

- დებეტი: 1403 სახელმწიფო სავალო კუპონი ქაღალდები (ნომინალური ღირებულებით), 1405 სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდების პრემია, 2406 მისაღები პროცენტი სახელმწიფო სავალო ქაღალდების მიხედვით
- კრედიტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები

- რეპოს დაფარვის დღეს ხდება საპირისპირო გატარებები

## 2. რეპოს აღრიცხვა უზრუნველყოფილი სესხის მეთოდით

- ფასიანი ქაღალდების გამყიდველი რეპო ოპერაციის აღრიცხვას აკეთებს შემდეგი ბუღალტრული გატარებებით:
  - ფასიანი ქაღალდების გაყიდვისას (სესხის მიმღებისას):
    - დებეტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები
    - კრედიტი: 3554 რეპო ოპერაციებით ბანკებისგან მიღებული სახსრები
  - ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვისას (სესხის დაფარვისას):
    - დებეტი: 3554 რეპო ოპერაციებით ბანკებისგან მიღებული სახსრები
    - კრედიტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები
- ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული შესაბამისი გატარებები უნდა გაკეთდეს ბალანსგარეშე ანგარიშებზე

## 2. რეპოს აღრიცხვა უზრუნველყოფილი სესხის მეთოდით

- ფასიანი ქაღალდების მყიდველი რეპო ოპერაციის აღრიცხვას აკეთებს შემდეგი ბუღალტრული გატარებებით:
  - ფასიანი ქაღალდების ყიდვისას (სესხის გაცემისას):
    - დებეტი: 1754 რეპო ოპერაციებით ბანკებისთვის მიცემული სახსრები
    - კრედიტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები
  - ფასიანი ქაღალდების უკან მიყიდვისას (სესხის დაფარვისას):
    - დებეტი: 1052/1703 ფულადი სახსრების ანგარიშები
    - კრედიტი: 1754 რეპო ოპერაციებით ბანკებისთვის მიცემული სახსრები
- ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული შესაბამისი გატარებები უნდა გაკეთდეს ბალანსგარეშე ანგარიშებზე